საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/137

17- ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ბექა მაკარაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი №22-20/9, 01.06.2022), ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლიდან დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის N01-08/467 ბრძანების (ბექა მაკარაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 10 ივნისის -MES 5 22 0000621764 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ბექა მაკარაძის** სადისერტაციო ნაშრომის-**„თურქეთის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის" შემდგომ პერიოდში (2002-2020 წწ.)"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 9 ივლისს, 13:00 საათზე, №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N1, მე-2 სართული).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (**„ისტორია"**) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1) ზაზა შაშიკაძე – ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
   2) მაია კიკვაძე – ბსუ-ს პროფესორი (კომისიის მდივანი);
   3) ჯემალ კარალიძე – ბსუ-ს პროფესორი;

4) ხათუნა დიასამიძე –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
5) ირაკლი ბარამიძე –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
6) მანუჩარ ლორია –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
7) ნატალია ლაზბა –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
8) მადონა გოგიტიძე –ისტორიის აკადემიური დოქტორი;
9) ოლეგ ჯიბაშვილი – ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფესორი მ. კიკვაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**